



## საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას

### ა ნ გ ა რ ი შ ი

შპს ტელე-რადიო კორპორაცია „ინფორმკავშირი,, ტელევიზია „არგო,, გასულ წელს სამეურნეო საქმიანობას აწარმოებდა მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.

ორგანიზაცია ფლობს სატელევიზიო (მე-12 მეტრულ არხზე) და რადიო (FM დიაპაზონის 102 მგკ სიხშირეზე) მაუწყებლობის ლიცენზიების.

რადიო „არგო“ - ლიცენზიის ბოლო მოდიფიცირება მოხდა 2019 წლის 21 ნოემბერს რის შედეგადაც გადამცემის სიმძლავრე 750 ვატამდე გაიზარდა. რადიო მაუწყებლობს 24 საათიან რეჟიმში. მუსიკალური წამყვანები უზრუნველყოფენ ისეთი გადაცემების ორგანიზებას როგორცაა: “მუსიკალური კოქტეილი“, „მსმენელი ხაზზე“, „დამის შეხვედრები“. ყოველდღიურად საათში ერთხელ შაბათ კვირის გარდა 12 საათიდან 20 საათამდე ეთერში გადის საინფორმაციო გამოშვებები.

ტელევიზია „არგო,, მაუწყებლობას აწარმოებს წინასწარ შედგენილი პროგრამის მიხედვით, რომელიც მოთხოვნის შესაბამისად ყოველკვირეულად ეგზავნება მარეგულირებელ კომისიას.. ამჟამად ტელეეთერის პოპულარულ პროგრამათა ნუსხაშია:

- 1.ყოველდღიური საინფორმაციო პროგრამა „სპექტრი“ (შაბათ კვირის გარდა), რომელიც ეთეშია 15 , 19 და 22 საათზე ის ასევე ლაივ რეჟიმში გადაიცემა სოციალურ ქსელშიც.
- 2.საავტორო სპორტული გადაცემა „45 წუთი“ - ალექო კაკაურიძესთან ერთად.
- 3.საავტორო გადაცემა „ჯამრთელობის ფორმულა .
4. პროგრამა „ბლიც ტაიმი“
5. პროგრამა „კულსი“
6. საავტორო გადაცემა „სინემა კლუბი“ რეჟისორ ერმალო მალრამესთან ერთად.

შპს ტელე-რადიო კორპორაცია „ინფორმკავშირი,, ტელევიზია „არგო,, გაერთიანებულია საქართველოს რეგიონალურ მაუწყებელთა ასოციაციაში და მაუწყებელთა ალიანსში, ვთანამშრომლობთ ჟურნალისტიკის რესურსცენტრთან, რადიო „თავისუფლებასთან“, ტელევიზია „ჭადრაკი TV“, საპატრიარქოს ტელევიზია „ერთსულოვნებასთან“. ტელევიზიას ცალკეული ყოველკვირეული პროგრამებით და ტელესერიალებით უზრუნველგვყოფს მაუწყებელთა ალიანსი.

ტელევიზიას გააჩნია უმდიდრესი ადგილობრივი ღონისძიებების ვიდეო არქივი. მათ შორის უშანგი ჩხეიძის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის სპექტაკლები, ქორეოგრაფიული და სიმღერის ფესტივალების ჩანაწერები, რომელიც დროდადრო ასევე ხვდება სამაუწყებლო ბადეში.

აღსანიხნავია რომ საანგარიშო პერიოდში დავა სალიცენზიო პირობების დარღვევაზე, ან ქცევის კოდექსის მოთხოვნათა შეუსრულებლობაზე არ გვქონია.

საქართველოს კანონის მაუწყებლობის შესახებ შესაბამისად შპს ტელე-რადიო კორპორაცია „ინფორმკავშირი,, ტელევიზია „არგოში,, შექმნილია დავების განმხილველი საბჭო შემდეგ



შემადგენლობით: ანდრო ლომთაძე - ტელევიზიის დირექტორი (თავმჯდომარე), ვერა ჩუბინიძე - ჟურნალისტი, საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი, მერაბ გორდეზიანი - არასამთავრობო ორგანიზაცია „კატარზისის,, ხელმძღვანელი, ირაკლი დათიაშვილი - ტელევიზიის ოპერატორი , თამარ ზაალიშვილი - დამოუკიდებელი ჟურნალისტი

გასული წლის ივნისში ორგანიზაციის დამფუძნებელთა შეადგენლობამ მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა რაც წინასწარ, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად შეთანხმებული იქნა მარეგულირებელ კომისიაში. ამჟამად ორგანიზაციის დამფუძნებელთა შეადგენლობა ასე გამოიყურება:

1. ანდრო ლომთაძე - 66,67 პროცენტი. 2.ზურაბ ლომთაძე - 22,22 პროცენტი
2. გოჩა ტომასკო 11,11 %.

შპს „ინფორმკავშირის,, დამფუძნებელთა შორის მაუწყებლობის სფეროში სხვა ლიცენზიას, არავინ არ ფლობს.

შპს „ინფორმკავშირი,, პერიოდულ ბეჭდვით გამოცემებს არ ფლობს, მისი ერთი დამფუძნებელი კერძოთ: ზურაბ ლომთაძე, არის ბეჭდვითი ორგანოს - გაზეთ „ზესტაფონის მოამბის,, დამფუძნებელი. გაზეთში რომელიც რამოდენიმე წელია აღარ ფუნქციონირებს მისი წილი შეადგენს 14.28 %.

შპს „ინფორმკავშირი,, სხვა საწარმოს ან სხვა საწარმოში წილს არ ფლობს.

კანონის ამავე მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად გაცნობებთ რომ:

შპს „ინფორმკავშირის,, ოჯახის წევრები პერიოდული ბეჭდვითი გამოცემების წილს არ ფლობენ.

მათ წილი ან აქციები არ აქვთ საინფორმაციო სააგენტოში.

ორგანიზაციის შემოსავლების ძირითად წყაროს წარმოადგენს საეთერო დროის კომერციულად გამოყენება და სახელშეკრულებო ურთიერთობები, ჩვენი შემოსავლების დიდი ნაწილი მოდის განცხადებებზე, რეკლამებზე და საეთერო დროის გაყიდვებზე.

ანგარიშს თან ერთვის აუდიტის დასკვნა.

ორგანიზაციას გადახდილი გვაქვს ყველა სახის სალიცენზიო და სხვა სახის გადასახადები და რაიმე დავალიანება არ ერიცხება.

შპს ტელე-რადიო კორპორაცია ინფორმკავშირის

ტელევიზია „არგოს,, დირექტორი

ანდრო ლომთაძე

